ხელშეკრულება #TR-10-2019
შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 1 ნოემბერი, 2019წ.

ერთი მხრივ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, (შემდგომში „შემსყიდველად“ წოდებული), წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესყიდვების სამსახურის უფროსის **ვახტანგ შავგულიძის** სახით და მეორე მხრივ **შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“** (შემდგომში „მიმწოდებლად“ წოდებული), წარმოდგენილი დირექტორის **ზურაბ ჩხაიძის** სახით, (ორივე ერთად წოდებული, როგორც, „მხარეები“), ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტისა 2019 წლის 29 ოქტომბრის N491643 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება“ – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე;
1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;
1.6 „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება;
1.7 „ინსპექტირება“ – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

1. ხელშეკრულების საგანი

2.1 2019 წლის 1-3 ნოემბერს სასტუმროს და საკონფერენციო დარბაზის მომსახურების შესყიდვა სასტუმრო „ახაშენში“ შემსყიდველის მიერ დაგეგმილი სამუშაო შეხვედრისთვის (თემა: „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მენეჯმენტისთვის პროექტის შეფასების საბოლოო ანგარიშის გაცნობა“) „ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის“ ფარგლებში;
2.2 მომსახურების დეტალური პირობები მითითებულია დანართ N1-ში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ინვოისისა და ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად. ამასთან, ხელშეკრულების მაქსიმალური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 26290,44 (ოცდაექვსი ათას ორას ოთხმოცდაათი ლარი და 44 თეთრი) ლარს;

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3.მხარეთა ვალდებულებები

მიმწოდებელი ვალდებულია:

3.1 ამ ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული პირობებითა და ვადებში უზრუნველყოს შემსყიდველისათვის მომსახურების გაწევა;

3.2 შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე არ გააუქმოს ჯავშანი, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელს, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოეშვება ჯარიმის სახით ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20 %-ის გადახდის ვალდებულება;

3.3 მომსახურების გაწევის დროს, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად უზრუნველყოს უსაფრთხოების ნორმების დაცვა. ამ პუნქტის დარღვევით გამოწვეულ ნებისმიერი სახის მატერიალური/არამატერიალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება შემსყიდველის წინაშე დაეკისრება მიმწოდებელს;

3.4 უზრუნველყოს შემსყიდველის გაფრთხილება ნებისმიერი სახის მოსალოდნელი პრობლემის/საფრთხის შესახებ, რომელიც შესაძლოა წარმოეშვას შემსყიდველს მომსახურების მიღების პერიოდში;

3.5 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ასევე მისი ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზის მიუხედავად, საიდუმლოდ შეინახოს და არ გაანდოს მიღებული ინფორმაცია ნებისმიერ მესამე პირს, ან თავის სასიკეთოდ ნებისმიერი გზით არ გამოიყენოს მიმწოდებლის ნებისმიერი სახის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მომსახურების გაწევის შედეგად;

3.6 კონფიდენციალურობის პუნქტის დარღვევა წარმოადგენს მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების დაუყოვნებლად შეწყვეტის საფუძველს. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას, მიმართოს სასამართლოს მიყენებული მატერიალური ან/და არამატერიალური ზიანის კომპენსაციის მიზნით;

3.7 იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველის მიერ არ განხორციელდება დანართი N1-ით გათვალისწინებული მომსახურების (სასტუმროს ნომერი, საკონფერენციო დარბაზით სარგებლობა, ყავის შესვენება) სრულად მიღება, მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების ფასი დააკორექტიროს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად;

3.8 არ გადასცეს მასზე დაკისრებული მოვალეობები სხვა რომელიმე პირს შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე;

3.9 შემსრულებელს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა გაწეული მომსახურების ხარისხზე.

4.1.1 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;.

4. ინსპექტირება

5.1 შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლის მიზნით ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ

პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს;

5.2 ინსპექტირებას განახორციელებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მსოფლიო ბანკის „ირიგაციის და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის“ მიწის ბაზრის განვითარების კომპონენტის იურისტი ეკატერინე აბაშიძე;

5.3 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე. ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნაკლის შესახებ ინსპექტირების განმახორციელებელი პირი წერილობითი სახით შეატყობინებს მიმწოდებელს.

5.4 იმ შემთხვევაში თუ ინსპეტირების შედეგად მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებითა და დანართი N1-ით გათვალისწინებულ პირობებს, შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს ფასის კორექტირება ფაქტორბივად მიღებული მომსახურების შესაბამისად;.

6 მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება წარმოებს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების შესაბამისი ინვოისისა და გაწეული მომსახურების შესახებ გაფიორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7 ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ) დაფინანსების წყარო: საერთაშორისი განვითარების ასოციაციის (IDA) კრედიტი N:5456-GE;;

7.2. მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება აუნაზღაურდება მომსახურების სრულად გაწევისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ (თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია), მხარეთა მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

8 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული მომსახურების მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ხელშეკრულების ღირებულების 5%–ის ოდენობით;

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით, რის თაობაზეც წინასწარ წერილობითი სახით უნდა აცნობოს შემსყიდველს, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი კარგავს შემსყიდველის მიმართ პირგასამტეხლოს გამოყენების უფლებას;

9.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით;

10.2 თუ რამე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11 დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით;

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12 ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში;

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;

12.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის 3 (სამი) დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;

13 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 1 დეკემბრამდე.

14 ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით;

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15 სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია ელექტრონულად.

16 მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო **მისამართი:** ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2 **ხაზინის ერთიანი ანგარიში:** №GE24NB0330100200165022, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22 სავალუტო კოდი: 202255407 ს/ნ - 202238621	**შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა"** **მისამართი:** თბილისი, ცინცაძის ქ. N12, მე -3 სართული **საბანკო რეკვიზიტები:** ა/ა №GE17BG0000000666785100 საქართველოს ბანკი, ბანკის კოდი: BAGAGE22 ს/კ 200075113
	Kakhetian Traditional Winemaking LLC Digitally signed by Kakhetian Traditional Winemaking LLC Date: 2019.11.01 18:15:25 +04'00'
ვახტანგ შავგულიძე შესყიდვების სამსახურის უფროსი	**ბუბა ჩხაიძე** დირექტორი

N	სასტუმროს მომსახურება (საორიენტაციო)	ადგილმდებარეობა	მოსახურების ღირებულება (საორიენტაციო)	მოთხოვნის რაოდენობა	სულ ჯამი (საორიენტაციო)
1	**1 <u>ნოემბერი</u>** 1. ვახშამი (48 ადამიანისთვის); 2. თექვსმეტი ერთ ადგილიანი სასტუმროს ნომერი; 3. თექვსმეტი ორ ადგილიანი სასტუმროს ნომერი **2 <u>ნოემბერი</u>** **1.** საუზმე, სადილი და ვახშამი (48 ადამიანისთვის); **2.** თექვსმეტი ერთ ადგილიანი სასტუმროს ნომერი; **3.** თექვსმეტი ორ ადგილიანი სასტუმროს ნომერი **4.** საკონფერენციო დარბაზი_(48 ადამიანისთვის); **5.** 2 ყავის შესვენება (48 ადამიანისთვის) **3 <u>ნოემბერი</u>** **1.** საუზმე და სადილი, (48 ადამიანისთვის); **2.** საკონფერენციო დარბაზი_(48 ადამიანისთვის); 3. 1 ყავის შესვენება (48 ადამიანისთვის).	სასტუმრო „ახაშენი“-გურჯაანი	26290,44	1	26290,44
სულ ჯამი (საორიენტაციო)				26290,44 ლარი	

შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“
(ს/კ 200075113)

ზურა ჩხაიძე

Kakhetian Traditional Winemaking LLC

Digitally signed by Kakhetian Traditional Winemaking LLC
Date: 2019.11.01 18:15:52 +04'00'